ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: დიანა გაბარაია
წევრები:
მზია ბაკურიძე
დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 429322985

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [√] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 ივლისის 650 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ „სამთო გამყოლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულებაში ყაზბეგის რაიონის დაბა გუდაურში 2018 წლის 30 და 31 ივლისს.

2018 წლის 26 ივლისს ჯგუფი შეიკრიბა და დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნულ შეხვედრაზე შეთანხმებისამებრ, ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული სრული ინფორმაცია.

ვიზიტის დასაწყისში შედგა შეხვედრა კოლეჯის წარმომადგენლებთან, დირექტორის 2018 წლის 30 ივლისის 04/73 ბრძანებით ექსპერტთა ჯგუფთან საკონტაქტო/პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელმაც მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოადგინა ეტაპობრივად. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ასევე წარმოადგენს პროგრამის ყველა პროფესიული მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელს (ამავდროულად დირექტორის მოადგილე). სხვა რომელიმე პროფესიული განათლების მასწავლებელთან გასაუბრება ვერ შედგა მათი ადგილზე არყოფნის გამო. ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში განხილული საკითხები და გააცნეს ხარისხის მართვის მენეჯერს.

ვიზიტის მეორე დღეს მოხდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილების მონახულება, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის შემოწმება. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოების ანალიზი, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოისმინეს ჯგუფის წევრების მუშაობის შედეგები და ექსპერტების მიერ მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა მისაღებად მიიჩნიეს ექსპერტების მიერ სტანდარტებთან/ქვესტანდარტებთან მიმართებაში გამოთქმული მოსაზრებები და ჩაინიშნეს ცალკეული საკითხები დასაკორექტირებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
	1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	მუხლი 6		√
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)		√
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	მუხლი 6 / პუნქტი დ)	√	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი	მუხლი 6 / პუნქტი ე)	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

	განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	√	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		√
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	√	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	√	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	√	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	√	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)		√
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	√	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		√
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)		√
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	√	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	√	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)		√
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	√	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)		√
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		√
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8		√
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	√	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)		√
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)		√

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ესქპერტების შეფასებით არ გამოვლენილა.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რადგან არ არის დაცული ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების მოთხოვნები - წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით დარღვეულია 4 მოდულის წინაპირობა.

ქვესტანდარტი 2.3

ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული მოდული - ქართული ენა B1, A2 და უცხოური ენის (ინგლისური) ლიტერატურა, ხოლო განთავსებული სასწავლო რესურსები არ ემთხვევა მოდულებში მითითებულ დასახელებებს (კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი).

ქვესტანდარტი 2.5

2016 წლის 21 ნოემბრიდან არ არის ნაწარმოები ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი (კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-4 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

მეორდება კალენდარული წლის განმავლობაში გაფორმებული დოკუმენტების რიგითი ნომრები და წლიდან წლამდე გაგრძელებულია (კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-5 და მე-9 მუხლები) ასევე არ არის ნაწარმოები შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი (კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-6 მუხლი).

ქვესტანდარტი 2.6 (3)

სამედიცინო ოთახში არ არის განთავსებული პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები (კოლეჯის სამედიცინო დახმარების წესის მე-2 მუხლის 1-ლი, მე-3). ასევე მედდის საკონტაქტო ნომერი არ არის გამოკრული მითითებულ ადგილებში (კოლეჯის სამედიცინო დახმარების წესის მე-2 მუხლის მე-4).

ქვესტანდარტი 2.8

კოლეჯის ვებ გვერდზე არასრულად არის განთავსებული დაწესებულების სტრუქტურა, პერსონალი და არ ხდება ინფორმაციის რეგულარულად განახლება.

ქვესტანდარტი 2.9

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა.

ქვესტანდარტი 3.2

შესაბამისი კვალიფიკაცია პირადი საქმით არ დასტურდება ქართული ენის მოდულების განმახორციელებელს.

ქვესტანდარტი 3.3

უცხოური ენის მოდულის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულება შრომითი ურთიერთობის შესახებ არ პასუხობს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

მისია: დაწესებულებამ შეიმუშაოს მისია, რომელიც იქნება მოკლე, მკაფიო და მასში აისახება თუ რა, რატომ, ვისთვის კეთდება.

ხედვა: კოლეჯმა შეიმუშაოს დაწესებულების რამდენიმე წლის შემდეგ მისაღწევი სასურველი მდგომარეობის აღმწერი მოკლე ჩანაწერი.

ღირებულებები: დაწესებულება საჭიროა აკეთებდეს განცხადებას იმის შესახებ თუ რა პრინციპების დაცვით ახორციელებს საქმიანობას.

ზემოთჩამოთვლილთაგან ყველა საჭიროებს გაზიარებას და არცერთი დამტკიცებას.

1.1 საჭიროა დაწესებულებამ გაიაზროს და შეიმუშაოს პროგრამის, მოდულების ადაპტირების და მათში ცვლილებების შეტანის მიდგომები და საშუალებები (მაგ. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და განაწილდეს პასუხისმგებლობები ჯგუფის წევრთა კომპეტენციებისა და მოვალეობების მიხედვით), რათა თავიდან იქნეს აცილებული **ა)**, დაშვებული ტექნიკური შეცდომები [ჩარჩენილი ფერი, სიტყვები როგორიცაა „რეკომენდაცია", „უნდა გააჩნდეს", „მინიმალური", „ჩარჩო დოკუმენტი"; ბრძანების რეკვიზიტების თავფურცელზე გადატანა, გამორჩენილი ლიტერატურა...] ასევე **ბ)**. ჩარჩო დოკუმენტით და ცენტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქუთაისი, 2018

სახელმძღვანელოებით განსაზღვრულ პირობებთან შეუსაბამო შინაარსობრივი უზუსტობები (პროგრამის კრედიტები, კვირეული დატვირთვა, ლიტერატურა).

ვინაიდან მოდულური პროგრამების შეფასების მიდგომები არ იცნობს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცნებას, ექსპერტების რეკომენდაციაა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა მოყვანილ იქნეს მოდულური პროგრამებისთვის დადგენილი სისტემასთან თანხვედრაში (ქულათა სისტემა გადაყვანილ იქნას დადასტურდა/არ დადასტურდას პრინციპზე). ვინაიდან, გაუგებარია საკვალიფიკაციო კომისიის ფუნქცია, რომელიც „შეისწავლის პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, მიღებულ შეფასებებს, დაადგენს დაძლეული იქნა თუ არა სწავლის შედეგები", განისაზღვროს აღნიშნული კომისიის ფუნქცია შეფასების სისტემასთან შესაბამისობაში.

საჭიროა დაწესებულებას ქონდეს მკაფიო ხედვა ქართული ენის მოდულების განხორციელების პირობების შესახებ.

რეკომენდებულია კოლეჯმა გაიაზროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შემთხვევები და შეიმუშაოს შედგენის მექანიზმები ან/და განსაზღვროს შედგენაზე პასუხისმგებელი პირი.

მოდულური პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად სასურველია დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს თანამშრომელთა მომზადება: დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი საწარმოებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად, რაც ასახულ უნდა იქნეს შესაბამის რეგულაციებში (შრომის შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/შრომითი ხელშეკრულება) და ითვალისწინებდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების ვალდებულებას კალენდარული გეგმების შედგენის, შეფასების ინსტრუმენტების შექმნის, მტკიცებულებების შეგროვება შენახვის/პირობებისა და ვადების შესახებ.

კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს მოდულური პროგრამებისთვის პროფესიული სტუდენტთა პრაქტიკულ მეცადინეობებზე (ე.წ შეკრება) დასწრების და შეფასების (უწყისი) ფორმა ან/და შეიმუშაოს აღრიცხვიანობის წარმოების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სანდოობას და ობიექტურობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და განხორციელების მიზანშეწონილობა არ საჭიროებს დამტკიცებას და არ წარმოადგენს პროგრამის ნაწილს.

1.2 სასურველია ჩანდეს კატალოგის შემუშავების/მოქმედების წელი და „სამთო გამყოლის" მოდულური პროგრამა იყოს შეტანილი ანონსის სახით. უმჯობესია კატალოგში მოცემული იყოს პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა და მიმდინარე წლის აკადემიური კალენდარი, ასევე გამდიდრდეს კოლეჯის რეალური ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი ფოტომასალით. სასურველია საიტზე იძებნებოდეს კატალოგი წლების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------

თბილისი, 2018

1.4 დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები" გაიმართოს როგორც ტექნიკურად ასევე შინაარსობრივად, არ იყოს ბუნდოვანი რეგულაციების ვადები (მაგ.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა, დაზუსტდეს როდის ხდება სტატუსის შეწყვეტა, გაიწეროს რა შემთხვევაში და როდის ხდება დამატებითი შეფასება მოდულის წინაპირობების გათვალისწინებით) და შემსრულებელი პირები (ვინ და როდის აჯამებს პროფესიული სტუდენტის გაცდენებს).

დოკუმენტი „ჩარიცხვის ტურის და პროგრამების დაშვების წინაპირობების შესახებ" დამუშავდეს, მიეცეს თავებად/მუხლებად/პუნქტებად დაყოფის უკეთესი/გასაგები სტრუქტურა შესაბამისი მოდულური/საგნობრივი პროგრამების მიხედვით.

მოიხსნას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციაში არსებული ჩანაწერი ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმაციის ცენტრში გადაცემის შესახებ.

შინაგანაწესში პროფესიული სტუდენტების უფლებამოსილებების ჩანაწერი, რომელიც მოიცავსპროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას, გამოეყოს შრომის შინაგანაწესის მარეგულირებელ დოკუმენტს და კონსოლიდირებულ იქნას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ერთიან დოკუმენტში.

1.6 ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის შეფასების რეალური სისტემა, რომლის განხორციელებასაც შეძლებს არსებული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

2.1

ა. დაწესებულების მისამართი (იურიდიული ან/და ფაქტობრივი) ფიქსირდებოდეს გასაგებად კოლეჯის მიერ წარმოებულ დოკუმენტებსა და ვებ გვერდზე (თბილისი, რუსთაველის ქუჩა 40/1; თბილისი, გიორგი ახვლედიანის ქუჩა 23; ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაური; გუდაური საბაგირო „გონდოლას" ზედა სადგურთან; დუშეთის რაიონი სოფელი გუდაური). ასევე საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი ფიქსირდებოდეს ერთგვაროვნად.

ბ. ვინაიდან ჩარიცხვის ტურით პროფესიულ სტუდენტს, პრერეკვიზიტების სახით, მოეთხოვება აღჭურვილობის ნაწილის ქონა, დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცათ რეკომენდაცია, რათა პროგრამასთან ერთად დამტკიცებულ მატერიალური რესურსის დანართსა და მოდულებში მიეთითოს აღჭურვილობის მხოლოდ კოლეჯის მფლობელობაში არსებული ნაწილი ან ჩამონათვალი გაიმიჯნოს იმგვარად, რომ იძლეოდეს ბალანსზე არსებულ აღჭურვილობასთან შედარების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

2.2 სასურველია დაწესებულებას ქონდეს რაიმე დოკუმენტი/მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მისი კომუნალური გადასახადების „შპს მთის კურორტების განვითარების“ კომპანიის მიერ დაფარვას.

2.3 უმჯობესია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება ასახავდეს და პასუხობდეს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს. საჭიროებიდან გამომდინარე შექმნას ან მოიხსნას წესიდან ე.წ „შემოვლის ბარათი“. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კოლეჯის აქვს საგნობრივ პროგრამაზე მიმდინარე კონტიგენტის პროფესიულ სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მასალების მიწოდების პრაქტიკა. სასურველია აღნიშნული აქტივობა ჩანდეს რომელიმე რეგულაციაში ან/და რაიმე სახით ხდებოდეს მისი აღრიცხვა შემდგომი დადასტურების მიზნით.
სასურველია ლიტერატურა მოიცავდეს შედარებით ახალი გამოცემების სახელმძღვანელოებს.

პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულის განმახორციელებლების მიერ მოხდეს გამოყენებადი მასალების შერჩევა, რომელიც ერთგვაროვანი სახელწოდებებით იქნება მითითებული როგორც მოდულებში, ასევე ბიბლიოთეკის სახელმძღვანელოების აღრიცხვის ჟურნალში.

2.4 სასურველია დაწესებულებას ქონდეს რაიმე დოკუმენტი/მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მისი ინტერნეტმომსახურების ხარჯების საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის მიერ დაფარვას.

2.5 აუცილებელია საქმისწარმოების მე-6 მუხლში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესის ინდექსაციასთან დაკავშირებული რეგულაცია იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი გენერირებაზე დამოკიდებულ ელექტრონულ დოკუმენტბრუნვასთან.

ექსპერტების რეკომენდაციით, შესაძლებელია შემუშავდეს ბრძანებების, ხელშეკრულებებისა და წერილების ელექტრონული აღრიცხვის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სანდოობას.

წარმოებულ დოკუმენტებში მოცემული მუხლებისა თუ პუნქტების ნომრების რიგითობისა და შინაარსის განაწილების საკითხში იქნეს დაცული მეტი სიზუსტე (მაგ. ბრძანების ნომრად 04/66 ნაცვლად მითითებულია 66, მეორდება შინაარსი მუხლებსა თუ პუნქტებს შორის, ამოვარდნილია ზოგიერთი მუხლი/პუნქტი, საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს მითითებულ თანამშრომელს/სტრუქტურულ ერთეულს).

პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სასურველია დაინომროს ცალ-ცალკე. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება მოვიდეს შესაბამისობაში დაწესებულების რეგულაციებთან, რათა გამოირიცხოს მასში ისეთი პირობების მოთხოვნა, რომელიც არ არის განსაზღვრული დაწესებულების რეგულაციებით. (მაგ.: პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი სტატუსის შეწყვეტის შესახებ ,,მიმდინარე თვეში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი 30 და მეტი აკადემიური საათის დაგროვების შემთხვევაში“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

თბილისი, 2018

ექსპერტების რეკომენდაციაა, გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები შეიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას დაწესებულების მისამართის შესახებ, გასაჩივრების წესისა და ვადების შესახებ; დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის/გასაჯაროების ვალდებულების შესახებ; აქტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ; აქტის გამოცემაზე შესაბამისი სტრუქტურის თანხმობის/ვიზირების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მითითებულ იქნეს გაცემული განკარგულების მოქმედების ვადა.

უმჯობესია საქმისწარმოების მაღალი ხარისხის მისაღწევად, შემუშავებულ იქნეს ისეთი მექანიზმები რომელიც გამორიცხავს გამოცემულ აქტებში და გაწერილ რეგულაციებში ნებისმერ უზუსტობებს (კონკრეტული პირის მიერ დავალების შესრულების ხარისხის შემოწმება/ვიზირების სისტემა/სამუშაო ჯგუფის შექმნა). საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშაოს მისი რეალობისთვის შესაბამისი რეგულაციები: კონკრეტული შემთხვევების აღმწერი გასაგებად ფორმულირებული წინადადებებით და თავებად/მუხლებად/პუნქტებად სტრუქტურირებული დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომი და გაცნობილი იქნება დაინტერესებული პირებისთვის; აღნიშნული დოკუმენტები უმჯობესია იქნეს განცალკევებით შედგენილი თანამშრომლებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ცალკე კი პროფესიული სტუდენტებისთვის. ბრძანებებით მტკიცდებოდეს ერთგვაროვანი დოკუმენტები მისი შინაარსიდან გამომდინარე (და არა ერთი ბრძანების ქუდქვეშ ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა მაგალითად კვალიფიკაციის მინიჭებისა და სამედიცინო დახმარების წესები).

2.8 ექსპერტების რეკომენდაციაა ვებ გვერდზე განახლდეს და გაივრცოს ინფორმაცია, კერძოდ: განთავსდეს კატალოგები წლების მიხედვით; დაიდოს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი/სარგებლობის წესი და ნაცვლად ერთი დასკანერებული სახელმძღვანელოსი დაიდოს მასალების კატალოგი; გამოკვეთილად იდოს მისია, ხედვა და ღირებულებები გარდა იმისა რომ მისია შესულია კატალოგში; ელექტრონული ფოსტის მისამართები (წესდებისა და ვებ გვერდზე) იქნეს თანხვედრაში მოყვანილი. სასურველია ჩანდეს სამოქმედო გეგმის ანგარიში; იძებნებოდეს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, ასევე ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის როგორც სტატუსის მოპოვების, ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების შესახებ. გამდიდრდეს კოლეჯის არსებობის მანძილზე განხორციელებული შეკრებების, შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ როგორც ტექსტუალური, ასევე ფოტო მასალით; დაემატოს სტრუქტურის აღმწერი ორგანოგრამა. ასევე საიტზე არსებული ცარიელი ბლოკები საჭიროების მიხედვით შეივსოს (დამფუძნებლები, მრჩეველთა საბჭო, მხარდამჭერები, მემორანდუმი).

2.9 სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა იქნეს გადახდილი (სამომავლო გეგმების სტრატეგიულ მიზნებად გადაქცევა) და განხორციელდეს მიმდინარე რეალური SWOT ანალიზი (დაწესებულების ინსტიტუციური განვითარებითვის საჭიროებების გამოკვეთა), რაც უზრუნველყოფს ცალკეული საკითხების მოსაწესრიგებლად სწორი და თანმიმდევრული მიდგომების შემუშავებას და შემდგომში განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

ასევე საჭიროა ყოველწლიურად შედგეს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

3.1 მოწესრიგდეს თანამშრომელთა პირადი საქმეები და რეგულაციებით გათვალისწინებული დოკუმენტები ინახებოდეს კონსოლიდირებულად.

უმჯობესია გაიმიჯნოს პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის წესი კანონმდებლობის დაცვით და განისაზღვროს როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე მასში აისახოს შერჩევის პროცედურები.

3.2 დაწესებულებამ მოახდინოს პროფესიული განათლების მასწავლებლების, შესაბამისი ადმინისტრაციის წარმომადგენლების ჩართულობით, მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის გადამზადება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სწავლებისა და შეფასების საკითხებში არსებული მიდგომების შესახებ ცოდნის ამაღლება.

3.3 ექსპერტების რეკომენდაციაა ხელშეკრულებაში იკითხებოდეს ინფორმაცია განსახორციელებელი პროგრამის/მოდულის შესახებ. ხელშეკრულება განახლდეს მოდულური პროგრამების შესაბამისად, შეიცავდეს მასწავლებლის ვალდებულებას სტუდენტთა აღრიცხვის, შეფასების, კალენდარული გეგმის შედგენის, შეფასების ინსტრუმენტის შექმნის შესახებ და გამოირიცხოს ყოველგვარი ტექნიკური ხასიათის უზუსტობა (მაგ. წინარე ხელშეკრულება შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ინფორმაცია ავტორიზაციის „გავლის" და არა „ გასვლის" შემთხვევაში).

უმჯობესია მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები იქნეს წარმოდგენილი პროგრამის დასრულებამდე (მინიმუმ წლის ბოლომდე).

სააუდიტორო პირობებში განსახორციელებელი მოდულის მასწავლებლების ხელშეკრულებებში მითითებულ იქნეს კონკრეტული სამუშაო ადგილი.

VII. დაწესებულების მისია

„მოამზადოს განვითარებაზე ორიენტირებული, მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ საკუთარი სფეროს დინამიურ განვითარებას" - ვებ გვერდზე განთავსებულ აღნიშნულ მისიაში არ იკვეთება დაწესებულების პროფილი, თუმცა 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულია ერთგვერდიანი მისია, სადაც მოთხრობილია დაწესებულების (მეორე აბზაცის მიხედვით, „სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერთა სკოლის") საქმიანობის ძირითად მიმართულების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 12 აპრილის 04/66 ბრძანებით. 2016 წლის 7 სექტემბრის 04/4 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულ ფუნქცია მოვალეობების მიხედვით დირექტორის მოადგილე „შეიმუშავებს და არჩევს სასწავლო პროგრამებს". რაიმე რეგულაციით არ არის განსაზღვრული პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმები.

პროგრამაში მოცემულია კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია.

კოლეჯს პროგრამაში შეტანილი აქვს 4 არჩევითი მოდული, რომელთა კრედიტების ჯამი (11) არ არის დამატებული პროფესიული სტუდენტის მიერ ასათვისებელი (კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო) კრედიტების რაოდენობაზე (72). პროგრამის მე-7 პუნქტის სტრუქტურა და მოდულების ნაწილში მითითებულია: „კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 72 კრედიტი. სტრუქტურა განსაზღვრავს 1 ზოგადი მოდულისა და 17 პროფესიული მოდულის გავლას".

პროფესიული სტუდენტის სააუდიტორო პირობებში კვირეული დატვირთვა რიგ შემთხვევებში აჭარბებს 40 საათს, კერძოდ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ I, III, IV და V სასწავლო კვირებში. უმეტეს შემთხვევაში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (საველე პირობებში განხორციელება) პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ არის ასახული სასწავლო გეგმაში და ნაჩვენებია ე.წ. შეკრება დღეების რაოდენობის მითითებით (ერთი მოდულის ფარგლებში დაგეგმილი შეკრების დღეების რაოდენობა არ არის ამავე მოდულის კრედიტების რაოდენობის პროპორციული, მაგ. 5 კრედიტის ასათვისებლად შეკრების დღეები განსაზღვრულია სხვადასხვა მოდულისთვის 7, 14 და 12 დღედ).
მოდულებში პროფესიული სტუდენტის შეფასების 100 ბალიანი სისტემა წარმოდგენილი სამი შუალედური და ერთი დასკვნითი გამოცდის სახით, არ ემთხვევა პროგრამაში მოცემულ მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

პროგრამების შესაბამის შეფასების სისტემას. დირექტორის 2018 წლის 12 აპრილის 04/67 ბრძანებით შესულია ცვლილება დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულ საგნობრივ პროგრამაზე მორგებულ შეფასების წესში (მუხლი 12) და მოსულია ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში, თუმცა მოდულებში რჩება 100 ბალიანი სისტემა.

პროგრამის დამტკიცების ბრძანება (დანართებით) მატერიალური სახით დაწესებულებას სრული სახით არ გააჩნდა; დამატებით მოთხოვნის შემდეგ ამოიბეჭდა და წარედგინათ ექსპერტებს.
ქართული ენის მოდულები პროგრამას ახლავს, მაგრამ გასაუბრების დროს არ იკვეთება დაწესებულების მხრიდან აღნიშნული მოდულების განხორციელების შესაძლებლობები და პირობები.

დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული რაიმე ტიპის თანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის განსახორციელებლად, ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტი სრულად ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, საველე პირობებში კონკრეტული მოდულისთვის საჭირო კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას იკვეთება მხოლოდ საგნობრივი პროგრამების განხორციელების პრაქტიკის ცოდნა და ნაკლებია მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტების (მოდულის, კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების შეგროვების მექანიზმები) წარმოების შესახებ წარმოდგენა. როგორც მიმდინარე საგნობრივ ასევე წარმოდგენილ მოდულურ პროგრამაზე, ხელმძღვანელი მიუთითებს საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით მორგებულ სწავლებაზე.

კოლეჯს შედგენილი აქვს პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის და პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, რომლებიც დამტკიცებულია პროგრამის დანართების სახით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის წესდება;
2. კოლეჯის დებულება;
3. დირექტორის ბრძანება და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. გასაუბრება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------

თბილისი, 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგში დამატებით ასევე ნაჩვენებია კოლეჯის მისია, სწავლის მეთოდოლოგია და კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები.
ვიზიტის დროს დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ინფორმატიული, დასურათებული ფერადი ფლაერები ბეჭდური სახით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1. ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგი;
2. ფლაერები.

შეფასება:
√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით („სათავგადასავლო ტურიზმი" – 10118-პ) განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი.

შეფასება:
√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები".

მოპოვება: ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის თანახმად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია პროფესიული ტესტირების (2013 წლის 27 სექტემბრის 152/ნ) ჩაბარებისა და კოლეჯის მიერ განსაზღვრული შიდა საკონკურსო ტურის გადალახვის შემთხვევაში. საკონკურსო ტური გულისხმობს სათხილამურო-საგამყოლო ბლოკზე დაშვების პრერეკვიზიტებსა და ორ ნაწილიან მისაღებ ტურზე დასაკმაყოფილებელ შემდეგ მოთხოვნებს: გასაუბრება, ტექნიკური დემონსტრირება კონკრეტულ პირობებში.

შეჩერება: ზემოაღნიშნული წესის მე-4 მუხლით რეგულირდება პროფესული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესაძლებლობები.

შეწყვეტა: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საკონტაქტო საათების 50%- ზე მეტის გაცდენა. რეგულაციის მიხედვით არ ჩანს თუ როდის ხდება გაცდენების დაჯამება, თუმცა წესი გულისხმობს სასწავლო პროცესის მენეჯერის (რომელიც არ იკვეთება საშტატო განრიგსა და დასაქმებულთა შორის) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ბრძანების გამოცემას. მე-5 მუხლით ჩანს როგორც დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდის ჩატარების, ასევე ამ შესაძლებლობის გამოყენების გარეშე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობა (პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება მოიცავს „სტუდენტის მიერ ფინალური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში" სტატუსის შეწყვეტას) - ჩანაწერი გაუგებარია.
ამავე წესის მიხედვით, გარიცხვის საფუძველი შესაძლოა იყოს "გამოყოფილ ადგილზე საწარმოო პრაქტიკის ვერ ან არ გავლა" ან განრიგისა და ქცევის წესების უხეში დარღვევა, თუმცა არ არის განმარტებული რას მოიცავს ტერმინები „ვერ ან არ გავლა" და „უხეში დარღვევა".
ამავე წესის მიხედვით დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს, სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, უტოვებს მობილობით სარგებლობის უფლებას „კანონმდებლობის შესაბამისად". აღნიშნულს კოლეჯის დირექტორი განმარტავს როგორც ტექნიკურ შეცდომას და აცხადებს რომ „შეწყვეტის" ნაცვლად მისათითებელია „შეჩერება" (შესაბამისად გადასატანია შეჩერების წესის ნაწილში)
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მექანიზმები შემდეგნაირად: „ ა) პირადი განცხადებით, ბ) საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებით, გ) თუ შეჩერებული ქონდა სტუდენტის სტატუსი" - პირობები გაურკვეველია, ასევე რთულად იკითხება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

მობილობა: პროფესიული სტუდენტთა მობილობის შესახებ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდთან" 2016 წლის 30 აგვისტოს, მისი მოქმედების ვადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

თბილისი, 2018

5 წელი. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს ერთი და იგივე პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესების ორგანიზება და ხელშეწყობა.

აღიარება: წესის მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად, განსაზღვრულია ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რომელიც დაწესებულებას გამოყენებული აქვს უცხოური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კრედიტების ჩათვლის მიზნით (გაფორმებულია კომისიის ოქმით).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანება;
2. კოლეჯ „თენთნულდთან" გაფორმებული მემორანდუმი.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით (მუხლი 14) და გულისხმობს პროგრამის შეცვლის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შეთავაზებას, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სხვა ანალოგიურ ან მონათესავე პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნულ შესაძლებლობას ადასტურებს კოლეჯ „თენთნულდთან" გაფორმებული მემორანდუმი.

თუმცა ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის პირობა გაუგებარია: „სტუდენტის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში სკოლა არ აუქმებს პროგრამას".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანება;
2. კოლეჯ „თეთნულდთან" გაფორმებული მემორანდუმი.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის ვრცელი დებულება, რომლიც მოიცავს პროგრამების შეფასებას, თვითშეფასების სისტემას, ადამიანური რესურსის შეფასებას; „ხარისხის სამსახურის" ამოცანებისა და ფუნქციების მიხედვით, გულისხმობს „სასწავლო საქმიანობის შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას" და „პროგრამების სისტემატური ტექნიკურ მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმების და ინდიკატორების საფუძველზე" და „აკადემიური ექსპერტიზის ორგანიზება". ამავე თარიღის 04/5 ბრძანებით -პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების კითხვარები. აღნიშნული კითხვარები გამოყენებულია არსებულ საგნობრივი პროგრამის ჯგუფებში და შესაძლებელია მისი მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყენება.

2016 წლის 7 სექტემბრის 04/4 ბრძანებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით დირექტორის მოადგილე „შეიმუშავებს სწავლა-სწავლების პროცესისთვის ა) შეფასების სტრატეგიებს, ბ) სტანდარტებს, გ) კრიტერიუმებსა და დ) მონიტორინგს უწევს ზემოთ გაწერილ პროცესებს და წარუდგენს დირექტორს" პროცედურებს. თუმცა ვინაიდან მიმდინარე პროგრამები ჯერ არ დასრულებულა რომელიმე ხსენებული აქტივობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიანად წარმართვის მიმდინარე პროცესს დაწესებულების წარმომადგენელი შემდეგნაირად აღწერს: პრაქტიკული მეცადინეობების წინ ტარდება შეხვედრები, იგეგმება გასვლები და წყდება შეკრების განსახორციელებლად მნიშვნელოვანი საკითხები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანება;
2. დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/5 ბრძანება;
3. დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/4 ბრძანება;
4. გასაუბრება.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

დაწესებულებას უსასყიდლო უზუფრუქტით აქვს გადაცემული ფართი, რომელიც მდებარეობს დუშეთის რაიონში, სოფელ გუდაურში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: [redacted]. ხელშეკრულება რეგისტრირებულია 06/09/2016, ხელშეკრულების ვადა შეადგენს 6 წელს.
დაზუსტებული ფართია 228,00 კვ.მ. მასზე განთავსებულია ერთსართულიანი შენობა, რომლის ფართია 107,26 კვ.მ.

ექსპერტებმა ასევე მოინახულეს გონდოლას ზედა სადგურთან მდებარე შენობა (საერთო ფართით 294,80 კვ.მ, აქედან პირველი სართულის ფართია 138,191 კვ.მ, მეორე სართულის ფართია 138,191 კვ.მ, და მანსარდია 18,418 კვ.მ.). შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: ინვენტარის შესანახი ოთახი, სასწავლო ოთახი და სამზარეულო. მეორე სართულზე განთავსებულია მოსასვენებელი ოთახები - 28 საწოლით, სველი წერტილებით (აბაზანა და საპირფარეშო), ხოლო მანსარდა გამოიყენება გასვლების დასაგეგმად. დირექტორთან გასაუბრების დროს დგინდება, რომ შენობა ეკუთვნის შპს მთის კურორტების განვითარების კომპანიას და დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამ შენობის ფლობის ან უსასყიდლო უზურფრუქტის დამადასტურებელი დოკუმენტები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	დუშეთის რაიონი, სოფელი გუდაური	107,26

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: [redacted]
2. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
„სამთო გამყოლის" პროგრამის შემადგენელი მოდულებიდან 3 მათგანის სრულად, ხოლო 2 ნაწილობრივ განსახორციელებლად განსაზღვრულია A ტიპის გარემო. აღნიშნულთა ნაწილი და დანარჩენი მოდულები სრულად ხორციელდება საველე პირობებში პრაქტიკულად.
ექსპერტების მიერ მოხდა სასწავლო ფართის ვიზუალური დათვალიერება.

- სასწავლო აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა, 15 სკამი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, პროექტორი, ეკრანი, ფლიპჩარტი, აღჭურვილობის შესანახი 3 ხუთადგილიანი რკინის კარადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

- ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია 3 ექვსადგილიანი მაგიდა და 7 სკამი, 1 კორპის დაფა, 3 ლეპტოპი, 1 ღია კარადა წიგნების თაროებით, 1 პრინტერი.
- ადმინისტრაციის ერთი ოთახი, სადაც განთავსებულია 3 მაგიდა და 3 სკამი, 1 კორპის დაფა, 1 კარადა, 1 პრინტერი, 3 ლეპტოპი. (დირექტორის განმარტებით, 1 ლეპტოპი შენახული აქვს კოლეჯის ბუღალტერს)

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერებით ნანახი 6 ლეპტოპი განთავსებული უნდა იყოს ბიბლიოთეკაში და 1 (ბუღალტრის მიერ შენახული) სასწავლო აუდიტორიაში. ხოლო ადმინისტრაციული საქმიანობისათვის განკუთვნილი 4 ცალი ლეპტოპი განთავსებულია თბილისში მდებარე ოფისში.

ექსპერტებმა ძირითად შენობაში ვიზუალურად დაათვალიერეს აღჭურვილობისა და ტექნიკური მოწყობილობების ნაწილი, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი დასაწყობებული სახით განთავსებულია საწყობში. დირექტორის განმარტებით, აღჭურვილობით გათვალისწინებული ფერადი პრინტერი თბილისის ოფისშია განთავსებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აღჭურვილობის შესყიდვის ხელშეკრულებები;
2. მიღება-ჩაბარების აქტები;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, არის ცენტრალური გათბობა (გაზით), არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში არის მხოლოდ ერთი სველი წერტილი, რომელიც არის ადაპტირებული.
დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს კომუნალური ხარჯების დამადასტურებელი ქვითრები, ხოლო გასაუბრებისას განმარტეს, რომ გადასახადებს იხდის შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია (ექსპერტების მოკვლევით: წესდების მე-9 მუხლის 9.1.1 პუნქტის თანახმად, კოლეჯის დაფინანსების წყარო შესაძლებელია იყოს „დამფუძნებლ(ებ)ის მიერ განხორციელებული ფულადი ან არაფულადი შენატანები“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის წესდება;
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. გასაუბრება.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის №04/6 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ოთახში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის შტატი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით. მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსების მოძიება ვერ ხერხდება სახელმძღვანელოების აღრიცხვის ჟურნალით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია განმახორციელებლების მიერ ქართულ ენაზე შექმნილი/ნათარგმნი ღირებული საგანმანათლებლო რესურსები: პრეზენტაციები და სასწავლო მასალები.

ბიბლიოთეკაში არ მოქმედებს წიგნების/მასალების გაცემის აღრიცხვის ჟურნალი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მე-4 მუხლში მითითებულია სტუდენტებისთვის ქსეროქსით, პრინტერითა და სკანერით მომსახურება, თუმცა აღნიშნული მოწყობილობა ოთახში არ იძებნება. ექსპერტების მიერ ვიზუალურად ნანახი იქნა მხოლოდ ქსეროქსი. ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკართან გასაუბრება მისი ადგილზე არ ყოფნის გამო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
2. ბიბლიოთეკის დებულება;
3. მასალების აღრიცხვის ჟურნალი;
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. გასაუბრება.

შეფასება:

□ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯი სასწავლო მიზნებისთვის იყენებს 7 ლეპტოპსა და 1 პროექტორს, ხოლო ადმინისტრაციული მართვისთვის 4 ლეპტოპს. დაწესებულება იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების სისტემას - e-flow და აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს - evet.emis.ge, რომელსაც მართავს საქმისმწარმოებელი და ხარისხის მართვის მენეჯერი.
დაწესებულება სარგებლობდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელით, რომლის ხარჯსაც ფარავდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამჟამად მთავარი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, დაზიანებულია ინტერნეტის ქსელი და საჭიროების დროს დაწესებულება იყენებს მოდემს, რომლის ხარჯები იფარება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტიდან.

კოლეჯის ვებ გვერდი შექმნილია საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში. კოლეჯის ბუღალტრის მიერ გამოგზავნილი საგადახდო დავალებებით ირკვევა, რომ ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია ახდენს დომეინისა და ჰოსტინგის გადასახადის დაფარვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1. ელექტრონული საგადახდო დავალებები;
2. გასაუბრება.

შეფასება:
√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების და არქივის ერთიან წესში" 2017 წლის 23 მაისის 04/43 ბრძანებით შესულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები უნდა აღირიცხებოდეს, როგორც დოკუმენტბრუნვის სისტემაში ასევე ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალში.
ამავე წესით განსაზღვრულია ხელშეკრულებების და მემორანდუმების აღრიცხვის პირობები. ხელშეკრულებების და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები მოიცავს 2016-2018 წლებს. ასევე, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები ელექტრონული სისტემაზე გადასვლამდე იწარმოებოდა უწყვეტი ნუმერაციით 2016-2017 წლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---------- ----------
თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქმისწარმოების და არქივის ერთიანი წესი;
2. აღრიცხვის ჟურნალები.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - დამუხტული ცეცხლმაქრები და სიგნალიზაცია, შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.

დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი; სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დანიშნულია მედდა, რომელსაც ევალება მედიკამენტების ვარგისიანობის შემოწმება. მოწყობილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებს ინახავს მედდა.

სკოლის დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება. დაწესებულებაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა კოლეჯის დებულებით ევალება დარაჯს (კოლეჯს მხოლოდ ერთი დარაჯი ემსახურება), რომელიც დანიშნულია ბრძანებით.

ძირითადი შენობის აუდიტორია, დერეფანი და მიმდებარე ტერიტორია არ არის უზრუნველყოფილი სამეთვალყურეო კამერებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პირველადი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
2. დარაჯთან გასაუბრება;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

□ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
√ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის დაწესებულების შენობაში ასასვლელ კიბეზე მოწყობილია ლითონის პანდუსი. შენობაში არის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
1.ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების ვებ გვერდის www.ats.ge შესწავლა ვიზიტის განხორციელებამდე, რომელზეც განთავსებულია მწირი ინფორმაცია: კოლეჯის ისტორია, კოლეჯის წესდების ძველი ვერსია, შინაგანაწესი, განვითარების სტრატეგია (არასრული და არასტრუქტურირებული ვერსია). ასევე, ჩარიცხვის ტური და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამების კატალოგი და საგნობრივი პროგრამები; ბიბლიოთეკის ბლოკში განთავსებულია მხოლოდ ერთი დასკანერებული სახელმძღვანელო.
ვებ გვერდი საკომუნიკაციო ფუნქციის მიზნით იძლევა ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის საშუალებას თანხმლები დოკუმენტების ატვირთვის შესაძლებლობით.
ვებ გვერდზე ბოლო ინფორმაცია განთავსებულია 2018 წლის 10 მარტს.
ელექტრონული ფოსტის მისამართი წესდებისა და ვებ გვერდის მონაცემებით განსხვავებულია.

კოლეჯს აქვს ფეისბუქ გვერდი, ბოლო ინფორმაცია თარიღდება 2018 წლის 16 მაისით, საიდანაც ფოტო და ვიდეო მასალით შესაძლებელია სკოლის რეალური ცხოვრების შესახებ საინტერესო ინფორმაციის მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ვებ გვერდზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო ტელეფონის ნომრების განთავსების შესახებ მიღებული აქვთ მათი თანხმობა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ვებ გვერდზე ინფორმაციის განახლება ვერ ხერხდება ტექნიკურად და აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად დაწყებულია მოლაპარაკება შესაბამის პირებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდი: http://ats.ge/
2. გასაუბრება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანებით დამტკიცებული ვრცელი დოკუმენტი შემდეგი სახელწოდებით „განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2016 – 2022 და ერთწლიანი (2016 - 2017) სამოქმედო გეგმები, SWOT ანალიზი".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის 04/6 ბრძანება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 21 სექტემბრის 04/17 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც მოიცავს პირის მიერ შემდეგი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე დანიშვნას: ა) განცხადება, ბ) რეზიუმე, გ) შესაბამისი განათლების დამადასტურებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

დოკუმენტს/დიპლომი, დ) 3 წლიანი გამოცდილება სფეროში. აღნიშნულის კონტროლი ამავე ბრძანებით დავალებული აქვს დირექტორის მოადგილეს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მოკვლევით, კოლეჯის სახელმწიფო შესყიდვების შტატგარეშე თანამშრომელს პირადი საქმით ვერ დაუდასტურდა კვალიფიკაცია. ასევე კოლეჯში დანიშნულ მედდას პირად საქმეში ექპსერტებმა იხილეს რადიოლოგის სერტიფიკატი, რომელსაც 2009 წელს გასული აქვს ვადა.

დაწესებულების მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში აღწერილია ზემოაღნიშნული პირების კვალიფიკაცია, ხოლო დანართების სახით წარმოდგენილია მედდის დიპლომი და სახელმწიფო შესყიდვების შტატგარეშე თანამშრომელის სფეროში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება და სერთიფიკატები. ექპერტებმა შეისწავლეს კვალიფიკაციის/გამოცდილების დამდასტურებელი დოკუმენტები, რითაც დგინდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებსა და დაწესებულების მიერ დადგენილ ნორმებს პირის დანიშვნის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. თანამშრომელთა პირადი საქმე;
2. 2016 წლის 21 სექტემბრის 04/17 ბრძანება;
3. შინაგანაწესი;
4. წესდება;
5. არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტი შესაბამისი დანართებით.

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის მონაცემებით ავტორიზებული პროგრამაზე კოლეჯში ირიცხება 26 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 19.

„სამთო გამყოლი" – 30 პროფესიული სტუდენტი / 9 განმახორციელებელი.
ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, შესაბამისი კვალიფიკაცია უდასტურდებოდა პროგრამის ყველა განმახორციელებელს, გარდა ქართული ენის მოდულების განმახორციელებლისა, რომელთანაც დადებულია წინარე ხელშეკრულება (აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

არ იყო წარმოდგენილი ცენტრში) და აღნიშნული პიროვნება განცხადებაში ითხოვს „კომუნიკაციის“ მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლად მიღებას და პირად საქმეში იძებნება სერთიფიკატები პროფორიენტაციის მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მასწავლებლების პირადი საქმეები;
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის მონაცემები;
3. ინტერვიურება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ცენტრში წარმოდგენილი 10 განმახორციელებლის დოკუმენტებიდან 1 განმახორციელებლის ხელშეკრულება არ არის მოქმედი, 5 პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულებას 2018 წლის 25 აგვისტოს ეწურება ვადა (2 პირს - ა.წ ნოემბერსა და დეკემბერში), რითაც შესაძლოა საფრთხე შეექმნას პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ხელშეკრულებები დაუყოვნებლივ განახლდება ვადის გასვლის შემდგომ.

პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებები (გარდა უცხოური ენის მოდულის განმახორციელებლისა) შედგენილია იდენტურად (მორგებულია საგნობრივ პროგრამაზე) და მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ინფორმაციას. დოკუმენტში სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის განსაზღვრული დაკისრებული სამუშაოს შესრულების ადგილი და მითითებულია ჩანაწერი „მხარეთა შეთანხმებით“.

უცხოური ენის მოდულის განმახორციელებლის ხელშეკრულება არსებითად განსხვავდება შრომითი ხელშეკრულების გავრცელებული ფორმისგან და არ პასუხობს **შრომის კოდექსის** მოთხოვნებს:

- არ არის მითითებული **მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;**
- არ მოიცავს ინფორმაციას **სამუშაო დროისა და დასვენების დროის შესახებ;**
- **სამუშაო ადგილად** არ არის მითითებული კოლეჯის რომელიმე მისამართი;
- ბუნდოვანია **თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;**
- **შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი** გულისხმობს შრომის ანაზღაურებას ერთჯერადად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ;
- **ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი** ბუნდოვანია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

- არ მოიცავს ინფორმაციას **ანაზღაურებადი** **და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობის და შვებულების მიცემის წესის** შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების შტატგარეშე თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში იკითხება ერთჯერადი მომსახურება, თუმცა დაწესებულების განმარტებით, ის მუდმივი თანამშრომელია.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, წესდებით გათვალისწინებული, დამფუძნებელთა საერთო კრებასთან შეთანხმებული დოკუმენტი დირექტორის მოადგილის დანიშვნის შესახებ. არსებობს მხოლოდ დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება.
კოლეჯის შინაგანაწესის მე-18 მუხლის თანახმად, არსებობს სამუშაოს აღწერის ფურცელი ან ინფორმაცია შეტანილია შრომით ხელშეკრულებაში, შინაგანაწესის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი შინაგანაწესის გაცნობაზე ხელმოწერილი დოკუმენტი ინახება პირად საქმეში, რაც არ დასტურდება პირადი საქმეების შემოწმების შედეგად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხელშეკრულებები;
2. გასაუბრება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

√ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (ისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სამთო გამყოლი	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სათავგადასავლო ტურიზმში 112070	83	113	ქართული	დაბა გუდაური; გონდოლას ზედა სადგური	26	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი 05.09.18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018